

ანი კაზარანი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ISCTE ბიზნესის სკოლა, პორტუგალია

„კავკასიის უნივერსიტეტმა გადაშალა ჩემი საინტერესო ისტორიის წიგნი, რომელიც სტუდენტობის დროს საქართველოშივე დაიწყო. აბიტურიენტობის პირველივე დღიდან ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრების და კარიერის სწორად წარსამართად CSB გარანტი იქნებოდა. უამრავი მეგობარი, საუკეთესო განათლება და ლექტორები, ეს ყოველივე მიბიძგებდა მუდამ განვითარებისკენ, სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის დახმარებით მომეცა საშუალება გაცვლითი პროგრამით ლისაბონში, პორტუგალია, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე ISCTE-ს ბიზნეს სკოლაში გამეგრძელებინა სწავლა. წარმოუდგენელია ადამიანმა მოკლე მოცულობის ტექსტში ჩაატოს ზღვა ემოცია, ეს იყო გამოწვევა საკუთარ თავთან, რათა ჩემი თავის უკეთესი ვერსია შემექმნა. ISCTE-ში ჩატარებული ღონისძიებების მეშვეობით სამსახურის ძიების პროცესიც გამიმარტივდა.

როდესაც საქართველოს სცილდები, ავტომატურად გერთვება ის ინსტინქტები, რომლებიც მიძინებულია და არც გეგონა, რომ ოდესმე გქონდა. ესენია თვით გადარჩენის, დამოუკიდებლობის, სიყვარულის, თავდაცვის, ბრძოლის ინსტინქტები, სწავლობ ცხოვრებით ტკბობას და იცი რომ არსებულ პრობლემას საკუთარი თავის გარდა ვერ მოგიგვარებს ვერავინ. გაცვლითი პროგრამის პერიოდში საკუთარი თავი ახლიდან აღმოვაჩინე, თითქოს ჩემში პატარა გოგომ გაიღვიძა, რომლისთვისაც ეს თავგადასავალი ოცნება იყო. სამეგობრო წრეში ძალიან გამიმართლა, ყველამ ძალიან თბილად მიმიღო, არ მქონდა არანაირი ბარიერი, მიყვარს ადამიანები და ცხოვრება. ჩემი მიზნებისკენ მუდმივად ვისწრაფვი, რათა ოცნება რეალობად ვაქციო. რომ მკითხოთ როგორ შევაფასებდი ჩემს მდგომარეობას გეტყვით რომ: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

ახლა საქართველოში ვიცი, რომ შრომა ყოველთვის ფასდება, მაღლიერი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის, რათა მომცა უდიდესი შესაძლებლობა და მადლობა იშტეს უნივერსიტეტს ამ გამოცდილებისათვის. ეს პერიოდი ყველაზე ფერადი და ნათელია ჩემს მეხსიერებაში. ვურჩევ ყველას, რომ გულს უსმინონ და განათლებისთვის ბოლომდე დაიხარჯონ, გამოიყენონ ცხოვრების ყოველი შანსი. ამაყი ვარ საკუთარი თავით, ეს გრძნობა ყველამ უნდა გამოცადოს.”